ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 01 11 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანება № 57

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 6 ივლისის №30 ბრძანებით დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის დაევალოს საქმისწარმოებისა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + ეპისკოპოსი იაკობი

დანართი 1

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის
დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (შემდგომში - სკოლა) მიერ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - სადოქტორო პროგრამა) განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს და ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

1. სადოქტორო პროგრამას ადგენს და/ან ხელმძღვანელობს სკოლის ერთი ან რამდენიმე პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი.
2.სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ: უნივერსიტეტის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტები.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამა

1.სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც ნაწილდება სასწავლო და კვლევით კომპონენტებად. სასწავლო კომპონენტი შეიძლება შეადგენდეს 45-60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი განსაზღვრულია არანაკლებ 120 და არაუმეტეს 135 კრედიტით. კრედიტების განაწილება ზუსტდება კონკრეტული სადოქტორო პროგრამით.
2. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წლისა.

მუხლი 4. დოქტორანტურაში მიღება

1.დოქტორანტურაში მიღება ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.
2.დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
3.დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები და ჩარიცხვის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი სადოქტორო პროგრამით და შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით.
5.სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით, ან შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატით. გამოცდისგან

ასევე თავისუფლდება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი, რომელსაც სულ მცირე, ერთი სემესტრი ნასწავლი აქვს შესაბამისენოვან უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტით. შემდეგ ეტაპზე დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის წინაშე ან/და აბარებს გამოცდას სპეციალობაში. აღნიშნულის თაობაზე მითითებული უნდა იყოს უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემულ აქტში, რომლითაც განისაზღვრება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურები.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1.სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს სადოქტორო პროგრამას, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.

2.სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი დოქტორანტს შეურჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას წინასწარი კონსულტაციების და ამ უკანასკნელის და დოქტორანტის წინასწარი თანხმობის საფუძველზე. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურასა და სადოქტორო თემას განიხილავს სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი სექცია და პირველი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის სადისერტაციო საბჭოს. ამავე პროცედურით ხდება სადოქტორო თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლაც.

3.სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტს უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად და კონტროლს უწევს ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულებას.

4.დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; აგრეთვე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, დოქტორის ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის გამოცდილი მოწვეული სპეციალისტი.

5.სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.

6.იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი შემდგომში უარს იტყვის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც შესაბამის სექციას წარუდგენს დოქტორანტის ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას.

7.დოქტორანტი უფლებამოსილია სექციის წინაშე დააყენოს დასაბუთებული მოთხოვნა სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ.

8.სექციის გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დაენიშნოს ორი სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო თემა ორი ქვედარგის/სპეციალიზაციის (პრობლემის) მიჯნაზეა.

მუხლი 6. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა

1.დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა შედგება ორი ნაწილისგან: დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა.

2.ინდივიდუალურ კვლევით გეგმას ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან ერთად და ადასტურებს ხელმოწერით.
3.დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმებს ხელს აწერს და კონტროლს უწევს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.
4.სასწავლო და კვლევითი კომპონენტების კრედიტები აისახება სათანადო უწყისებში. სასწავლო კომპონენტის უწყისებს ხელს აწერს შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, ხოლო კვლევითი კომპონენტის დამადასტურებელ დოკუმენტებს - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

მუხლი 7. სადისერტაციო საბჭო და სექცია
1.სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება სკოლის ფარგლებში.
2.სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური პერსონალი - ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. სკოლის საბჭოს თანხმობით, სკოლის სადისერტაციო საბჭოში შეიძლება შეყვანილი იქნას დოქტორის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
3.სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას, სკოლის საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი 4 წლის ვადით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დეკანის (სკოლის საბჭოს თავმჯდომარის) დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა.
4.სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომას თავმჯდომარეობს დეკანი. პირველივე სხდომაზე, საბჭო თავისი შემადგენლობიდან ოთხი წლის ვადით ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარის წარდგინებით სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ოთხი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარის მოადგილესა და სწავლულ მდივანს. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ და სწავლულ მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და სწავლული მდივნის არჩევა ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.
5.სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედი. გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით.
6.სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე/მოადგილე და საბჭოს სწავლული მდივანი.
7.სადისერტაციო საბჭო, არსებული სადოქტორო პროგრამების თავისებურებებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტთა ხელშეწყობისა და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული შინაარსობრივი და ორგანიზაციული საკითხების მართვის მიზნით, ქმნის დარგობრივ სექციებს და განსაზღვრავს მათ შემადგენლობას.
8.სექციას ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და სწავლული მდივანი. სექციის შემადგენლობა, სკოლის სადისერტაციო საბჭოს, წარდგინებით მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ. სექციის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. სექციის პირველ სხდომას უძღვება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. სექციის თავმჯდომარე აირჩევა სექციის პირველივე სხდომაზე, 4 წლის ვადით. სექციის თავმჯდომარის წარდგენის საფუძველზე, 4 წლის ვადით, აირჩევა სექციის თავმჯდომარის მოადგილე და სწავლული მდივანი. ერთი და

იგივე პირი თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ და სწავლულ მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. სექციის თავმჯდომარის, მოადგილის და სწავლული მდივნის არჩევა ხდება ხმების უმრავლესობით.
9.სექცია გადაწყვეტილებას იღებს სხდომებზე. სექციის სხდომა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედი. გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით. ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სექციის თავმჯდომარე/მოადგილე და სექციის სწავლული მდივანი.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო სექციის უფლებამოსილებანი
1.სადისერტაციო საბჭო და სადისერტაციო სექცია თავიანთ საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2.სექციის გადაწყვეტილებით და წარდგინებით სკოლის სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს და სადისერტაციო ნაშრომის თემას.
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით სკოლის სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი სექცია ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის საექსპერტო კომისიას და შემფასებლებს (რეცენზენტებს);
4.შემფასებლების (რეცენზენტების) მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად დაშვების შემთხვევაში სკოლის სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი სექცია/სექციის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო მაცნის დაბეჭდვისა და სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით მაცნის დაგზავნის თაობაზე.
5. პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით სკოლის სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი სექცია ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;
6. სკოლის სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი სექცია ნიშნავს დისერტაციის დაცვის დღეს. სადისერტაციო მაცნის დაგზავნიდან დისერტაციის დაცვის დღემდე გასული უნდა იყოს არანაკლებ 15 დღე.
7.სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო სექციის დადგენილების საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.
8.სადისერტაციო საბჭოს/სექციის თავმჯდომარე საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება სხდომებს.
9.სადისერტაციო საბჭოს/სექციის თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში უძღვება სხდომებს.
10.სადისერტაციო საბჭოს/სექციის სწავლული მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს/სექციის საქმიანობის ორგანიზებას, აწარმოებს სხდომის ოქმებს, ეხმარება თავმჯდომარეს/მოადგილეს სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, ხელმძღვანელობს არქივსა და საქმისწარმოებას. ამასთან, სექციის სწავლული მდივანი კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ.

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომი
1.სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს დარგობრივი სექციის შესაბამისად, თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას და უნდა იყოს წარმოდგენილი დანარჩენი თანაავტორების თანხმობა

დისერტანტის მიერ სამეცნიერო შედეგის გამოყენების თაობაზე. თუ თანაავტორობით მიღებული სამეცნიერო შედეგი გამოყენებული იყო სადოქტორო დისერტაციაში, ამ შედეგების კვლავ ძირითად შედეგებად წარმოდგენა დაუშვებელია.
2.სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - სადისერტაციო მაცნე (ავტორეფერატი) ქართულ და ერთ-ერთ უცხოურ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ) ენაზე.
3.განსაკუთრებულ შემთხვევებში რომელიმე საერთაშორისო ენაზე დისერტაციის შესრულებისა და დაცვის საკითხს წყვეტს სკოლის სადისერტაციო საბჭო. უცხო ენაზე დისერტაციის დაცვა მოტივირებული უნდა იყოს დისერტაციის სპეციფიკით ან მეცნიერული კონტაქტების განმტკიცების ინტერესით. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში დისერტაციის ძირითადი დებულებები და კვლევის შედეგები (სადისერტაციო მაცნე/ავტორეფერატი) წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა
1.სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ სადისერტაციო სექციის სწავლულ მდივანს წარედგინება დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია და სადისერტაციო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო პუბლიკაციები. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის მითითებებისა და რეკომენდაციების მიცემას. ამასთან, დოქტორანტი სექციას წარუდგენს პერიოდულ ანგარიშებს. ანგარიშების წარდგენის წესი და პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის რექტორის აქტით დამტკიცებული ინსტრუქციით.
2.თუ დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია მოწესრიგებულია და წარმოდგენილია სავალდებულო პუბლიკაციები, დისერტანტი განცხადებით მიმართავს ქართული უნივერსიტეტის რექტორს სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის წარდგენის თაობაზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა. დოქტორანტის განცხადება, რექტორის შესაბამისი რეზოლუციით, გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს და შესაბამის სადისერტაციო სექციას.
3.სადისერტაციო ნაშრომი სამ აკინძულ და ყდაში ჩასმულ ეგზემპლარად, გადაეცემა სადისერტაციო სექციას. ნაშრომს თან უნდა ახლდეს ელექტრონული ვერსია (CD დისკზე).
4.სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა სადისერტაციო სექციას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა)სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდებულ გამოცემებში გამოქვეყნებული სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის ასლი;
ბ)იმ სამეცნიერო სემინარების, კონფერენციების და სიმპოზიუმების ნუსხა, სადაც მოხსენებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები თუ შედეგები.
5.სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის დროს დასაშვებია, რომ ერთ-ერთი ნაშრომი არ იყოს დაბეჭდილი, მაგრამ უნდა იყოს ცნობა გამომცემლობიდან, რომ ნაშრომი მზადაა გამოსაცემად. დისერტანტმა ეს ნაშრომი გამოქვეყნების შემდეგ უნდა წარუდგინოს სექციას.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზა

1.სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი სკოლის სადისერტაციო საბჭოს შესაბამის სექციას დასამტკიცებლად წარუდგენს ორი ექსპერტის კანდიდატურას (საექსპერტო კომისიას). სასურველია, საექსპერტო კომისიის ორი წევრიდან ერთი იყოს სადისერტაციო საბჭოს/სექციის წევრი, მეორე შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია დაინიშნოს სამი ექსპერტი.
2.ორი მოწვეული ექსპერტის შემთხვევაში დაუშვებელია ორივე იყოს ერთი ორგანიზაციის ერთი და იმავე ქვედანაყოფის თანამშრომელი.
3.ექსპერტი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, ახლო ნათესავი და/ან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირი.
4.საექსპერტო კომისიის ფუნქციებია:
ა) სადისერტაციო ნაშრომის თემით განსაზღვრული მიზნებისა და კვლევის შედეგების შესაბამისობის, სადისერტაციო ნაშრომისა და სადისერტაციო მაცნის შესაბამისობის დადგენა.
ბ) საექსპერტო კომისიას დასკვნის წარსადგენად ეძლევა არაუმეტეს 30 დღე. ნაშრომის შეფასება გაცნობა და შესაბამისი დასკვნის მომზადება ხდება „სადოქტორო ნაშრომის დახვეწისა და დაცვის ინსტრუქციით“ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.
5. ორივე ექსპერტის მიერ დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, საკითხს მიეცემა შემდგომი მსვლელობა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დასკვნებიდან ერთი დადებითია ხოლო მეორე უარყოფითი, დამატებით მოიწვევა მესამე ექსპერტი, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც, საკითხს მიეცემა შემდგომი მსვლელობა.
6. ორივე ექსპერტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში დისერტანტმა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს არა უადრეს 6 თვისა.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება (რეცენზირება)
1. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი რეცენზირებისათვის შეარჩევს და სკოლის სადისერტაციო საბჭოს შესაბამის სექციას წარუდგენს დოქტორის ხარისხის მქონე არანაკლებ ორ პირს, რომელთაც სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისი პროფილით (დარგი/სპეციალობა) გააჩნიათ სათანადო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები. სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი სექცია განიხილავს ამ (ასევე, საჭიროების შემთხვევაში სხვა კანდიდატურებს) და თავისი შეხედულებისამებრ ამტკიცებს შემფასებლებს. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დაინიშნოს სამი შემფასებელი (რეცენზენტი).
2.სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებიდან (რეცენზენტებიდან) სასურველია, ერთი იყოს სადისერტაციო საბჭოს/სექციის წევრი, სხვა დანარჩენი შესაძლებელია იყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
3.სამი შემფასებლის (რეცენზენტის) შემთხვევაში, დაუშვებელია ორი მოწვეული შემფასებელი (რეცენზენტი) იყოს ერთი ორგანიზაციის ერთი და იმავე ქვედანაყოფის თანამშრომელი. შემფასებელი (რეცენზენტი) არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, ახლო ნათესავი და/ან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირი.
4.შემფასებლებს (რეცენზენტებს) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დასკვნის წარმოდგენისათვის ეძლევათ არაუმეტეს 30 დღე.

5.შემფასებელი (რეცენზენტი) ეცნობა სადისერტაციო ნაშრომს და სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასკვნას „სადისერტაციო ნაშრომის დახვეწისა და დაცვის ინსტრუქციაში“ მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად.
6. ორივე შემფასებლის (რეცენზენტის) მიერ უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში დისერტანტმა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს არა უადრეს 1 წლისა.
7.დისერტანტის დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, დისერტაცია, ექსპერტების და შემფასებლების (რეცენზენტების) წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

მუხლი 13. სადისერტაციო კომისია
1.სადისერტაციო ნაშრომის შესახებ საჯარო პაექრობის ორგანიზებისთვის სადისერტაციო სექცია ქმნის სადისერტაციო კომისიას არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით.
2.სადისერტაციო კომისიის წევრად აუცილებლად უნდა აირჩეს შესაბამისი სექციის ერთი წევრი მაინც.
3.სადისერტაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, საექსპერტო კომისიის წევრი და შემფასებელი (რეცენზენტი).
4.სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს ამავე კომისიის მიერ ღია კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე. სადისერტაციო კომისია ღია კენჭისყრით ირჩევს მდივანს, რომელიც აწარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმს და აფორმებს შეფასების უწყისს. სადისერტაციო კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში.
5.სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა და შეფასება
1.დისერტაციის დაცვა არის საჯარო პაექრობა, ერთი მხრივ, დისერტანტსა და შემფასებლებს (რეცენზენტებს) შორის, მეორე მხრივ, დისერტანტსა და სადისერტაციო კომისიის წევრებს შორის.
2.საჯარო პაექრობის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით პაექრობის ენად სხვა ენა არ დადგინდა.
3.სადისერტაციო კომისიის სხდომაზე შეიძლება მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.
4.დისერტაციის დაცვის დღეს ხორციელდება დოქტორანტის შეფასება ექსპერტების, შემფასებლების (რეცენზენტების) და სადისერტაციო კომისიის მიერ. დისერტაციის დაცვა შესაძლებელია ერთი რეცენზენტის საპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში, თუ მისი წარმოდგენილი რეცენზია დადებითია. თუ რეცენზენტი, რომლის რეცენზიაც უარყოფითია, დაცვას ვერ ესწრება, დაცვა გადაიდება. დაცვის გადადების შემთხვევაში, ახალი დაცვის დანიშვნამდე გასული დრო არ ჩაითვლება სადისერტაციო ნაშრომის მსვლელობის მიცემიდან დაცვამდე დათქმულ დროში.
5.უშუალოდ დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი ეტაპებისგან:
ა)დოქტორანტის მოხსენება (რეგლამენტი განისაზღვროს დარგობრივი სექციის მიერ);
ბ)შემფასებელთა (რეცენზენტთა) მიერ საჯარო ოპონირება დისერტანტთან და დისერტანტის პასუხები;

გ)სადისერტაციო კომისიის წევრების, სექციის წევრების, ექსპერტების და სხვა დამსწრე სპეციალისტების შეკითხვები დისერტანტთან და დისერტანტის პასუხები (სამეცნიერო დისკუსია/პაექრობა);
დ) ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის სიტყვა.
ე)სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად.
6.ექსპერტები, შემფასებლები (რეცენზენტები) და კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომის დაცვას აფასებს „სადისერტაციო ნაშრომის დახვეწისა და დაცვის ინსტრუქციაში" მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად.
7.თითოეული ექსპერტი ავსებს შეფასების ინდივიდუალურ უწყისს და აფასებს დოქტორანტს 20 ქულით. მიღებული შეფასებებიდან არითმეტიკული საშუალოს წესით გამოითვლება ექსპერტების შეფასება (0-20 ქულა).
8.თითოეული რეცენზენტი ავსებს შეფასების ინდივიდუალურ უწყისს და აფასებს დოქტორანტს 40 ქულით. აღნიშნული შეფასებებიდან არითმეტიკული საშუალოს წესით გამოითვლება რეცენზენტების შეფასება (0-40 ქულა).
9.კომისიის თითოეული წევრი ავსებს შეფასების ინდივიდუალურ უწყისს. კომისიის შეფასება მიიღება კომისიის წევრთა შეფასებების (მაქსიმუმ 40 ქულა) არითმეტიკული საშუალოთი. კომისიის მუშაობის შედეგები აისახება დისერტაციის დაცვის კომისიის საბოლოო შეფასების უწყისსა და დადგენილებაში რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
10.კომისიის თავმჯდომარე სადისერტაციო სექციას წარუდგენს კომისიის შეფასებას.
11.სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება მიიღება, სადისერტაციო სექციის მიერ, როგორც ექსპერტთა საბოლოო შეფასების (მაქსიმუმ 20 ქულა), რეცენზენტთა საბოლოო შეფასებისა (მაქსიმუმ 40 ქულა) და სადისერტაციო კომისიის შეფასების (მაქსიმუმ 40 ქულა) ქულათა ჯამი. საბოლოო შეფასების მაქსიმალური ქულაა 100.
12. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:
ა)ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100);
ბ)ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90);
გ) კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80);
დ)საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70);
ე)დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60).
ვ)არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50);
ზ)სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს (40 და ნაკლები).
13.ამ მუხლის, მე-12 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
14.სადისერტაციო სექციის დადგენილება შედგება ორი პუნქტისაგან:
ა)სადისერტაციო ნაშრომისა დაცვის შეფასება;

ბ)სადისერტაციო სექციის შუამდგომლობა სადისერტაციო საბჭოს წინაშე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების (ან არ მინიჭების) შესახებ.
15.სადისერტაციო სექციის დადგენილების საფუძველზე სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს ღია კენჭისყრით ოფიციალურად ანიჭებს (ან არ ანიჭებს) დოქტორის აკადემიურ ხარისხს.
16.მიღებული გადაწყვეტილება აისახება სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.
17.დისერტაციების დაცვები ტარდება აკადემიური კალენდრით სემესტრისთვის დადგენილ ვადებში.
18.დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას, შემდეგი პირობების დაცვით:
ა) რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში დოქტორანტის მიერ დისერტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების ორგანიზებას იმავე სემესტრში, ხოლო პროცედურის დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებების გამო გაჭიანურების შემთხვევაში, დოქტორანტი მომდევნო სემესტრში თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისგან;
ბ) თუ დოქტორანტმა ვერ უზრუნველყო რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში დისერტაციის წარმოდგენა, უფლებამოსილია, შესაბამისი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგინოს დასრულებული დისერტაცია. აღნიშნულ შემთხვევაში დისერტაცია ფასდება მომდევნო სემესტრში და დოქტორანტს ეკისრება სწავლის სემესტრული საფასურის 50%-ის გადახდა.

მუხლი 15. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუმეტეს 6 თვის ვადაში, დაცვაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით აქვეყნებს დისერტაციას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ან/და გამოსცემს მას ბეჭდური სახით.

მუხლი 16. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1.დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ გაცემული შესაბამისი დიპლომი. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და სკოლის დეკანი. დიპლომი დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.
2.დიპლომი გაიცემა დიპლომის დანართთან ერთად, რომელიც ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე. დიპლომი და დიპლომის დანართის ასლები ინახება უნივერსიტეტის არქივში.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

დოქტორის აკადემიური ხარისხი, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორს ჩამოერთმევა სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენების ან პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში.